ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N44

2022 წლის 29 ივლისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 18 მაისის N114-11422138187 წერილის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) თანხმობა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში, სოფელ ჯიხანჯურში მდებარე 817.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 230.0 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ N20.37.05.032), შემდგომში მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი